

დროება

საქართველოს
ბიბლიოთეკა

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 7.

კვირა, 10 იანვარი 1910 წ.

დამატების № 2



საქართველოს
ბიბლიოთეკა

მადონა, — სურათი ბოდენჰაუზენისა.

უბანკო ცრემლები.

--§§--

ქვეყნად მაისის დილაზე გავჩნდი.

გაზაფხულის მზემ ისარსავით რომ სტუკორცნა მთის მწვერვალთ პირველ რიჟრჟის ოქროსფეროვანი სხივები, ბუნების ძალამ მაშინ ამოგვხეთქა მელანსავით შავ სიბიკლდის გულის სიღრმიდან. გულში რაღაცა განუსაზღვრელი ბედნიერება ვიგრძენ, თუმცა, ახლად დაბადებულს, ცხოვრებისა ჯერ არა გამეგებოდა-რა.

მსწრაფლ ცელქად შევეთამაშე საუცხოვოდ შემკულ მზის ცხოველმყოფელ სხივებს და, უზომო გრძობით აღტაცებული, მაგრა ჩავეკარ ციკაბო კლდის მშობლიურს მკერდებს.

ღვიძლს ძმებთან ერთად გიჟურის ხტუნვით დავეშვით ძირს დაქანებულს კლდეზე. გულუბრყვილოდ და წრფელის გრძობით და ძმანი ერთმანეთს ვეხვეოდით. ცელქად ვკოცნიდით კლდის სუფთად ჩალესილ ნაპირებს და მალლა ჰაერში ხტომით ვუღიმოდით ქვეყნისა მნათობს, რომლის ნაცემი სხივებიც თვალთ გვიშლიდნენ მთელ არე-მარეს და გვიღვივებდნენ გულში ბუნებისადმი ნეტარს სიყვარულს.

ჟივილ-ხივოლით მოგვისკასებდით მთაველის გასაღვიძებლად. თავგანწირულის გამბედაობით მივესწრაფოდით ბარად, რომ სიხარული და ბედნიერება მოგვეფინა ჯერ კადევ ძილის ბურუსში გახვეულს ქვეყანაზე...

ბუნება მართლაც აგვეხმაურა...

პირველად დილის სიოს გაეგო ჩვენი რაკრაკი. ყველაზე უწინ ის მოგვეგება, საიღუმლოდ რაღაცა წაგვიჩურჩულა და ზედ ისე ნაზად გადაგვირბინა, თითქოს დაგვკოცნაო. ხევში რომ შევედით, მთამ ბანი მოგვცა და ახლად გაფურჩქნული ტყეც ჩქარა შეგვებაასა თავის ნაზ-ფეროვან რბილი ფოთლების შრიალით.

ჩვენ მაშინ დაქანებულ მთის ანკარა წყაროს შევადგენდით...

ყვავილებსა და ვარდებს კეკლუცად დაეხსნათ ტუჩები და ნაზად ჰყლაპავდნენ მზისაგან მომთბარს მთის სუფთა ჰაერს. მთისა და ველის ნორჩი ბალახი ალირსით უშვებდა დანამულ სახეს დილის მზეს და ესეც, თითქოს ეალერსებოა, ათასობით აფრქვევდა მათზე თავის ცხოველმყოფელ სხივებს.

ამის მკვრეტელმა მეტ სიტკბოებას ვეღარ გაუძელ. თავს ბრუ დამესხა, ვეღარ შეემაგრდი და გვერძე მხტომ თანამომგზავრეს დავეჯახე.

ბუნების სიმშვენიერეს ისიც დაეთრო... ძმურად ხელი ხელს ჩავკიდეთ და ერთის ხტომით იის ქვეშ სამყურა ბალახის ფოთლებზე დავსკუბდით. სალამის ნიშნად იამ თავი დავვიკრა და თავისი ნაზი სუნელებით გაგვცა პასუხი. ახლა ჩვენ ღინჯად უმზერდით არე-მარეს. მზის სხივებმა დაგვირბინა ტანში და საამურად ჩხვლეტა დაგვიწყო. ჩვენც ბავშურის შეუპოვრობით გაღუსწორეთ თვალი გაღვივებულს მზეს და სუნთქვას მოუხშირეთ.

საუცხოვო და საამური იყო ეს წამი! თავასუფლად სუნთქავდა გაღვიძებული ბუნება. ყოველი არსი დამატკობს ჰანგზედ უგალობდა ცხოვრების ლამპარს...

აქ მე უეცრად წამძინებოდა. სიზმად საოცნებო რამ ვნახე...

ჰაერზე სუმბუქად ქცეული, გაფვრენილიყავ ცისა სივრცეში და თვალ უწვდენელ სიმაღლიდან დავცქეროდი ძირს

გაშლილ ქვეყანას. შორს-დასავლეთის კიდეზე მდებარე უცული მზე ღინჯად ჩაეშვა მოსასვენებლად ზღვისა უფსკრულში. განუსაზღვრელი ზღვის გული ძლიერად სცემდა და მეტის სიხარულისაგან, სანატრელ სტუმრის მომლოდინეს, სახეზე აღმული გადასდიოდა.

უკანასკნელი სხივით მზემ მშვიდობის სალამი რომ გამოგვიგზანა, ქვეყნად და ცაზე მთლად ჩამობნელდა. ჟრუანტელმა დამიარა ტანში და შიშისაგან კანკალმა დამაწყებინა, მაგრამ ზევიდან ვარსკვლავებმა ჩქარა გამილიმეს და გულში იმედი ჩამისახეს.

დიდი ხნის შემდეგ დამის მნათობმაც ამოაშუქა და თავის უხილავ სხივებით გაჰფანტა ჩამოვარდნილი წყვილიაღი. მთვარის ნათელზე ვერცხლის წყალისავით მითქრიალებდნენ მდინარეები და, გველივით დაკლაქნილები, შორს ცის კიდეში იღუპებოდნენ...

ჩემ ნეტარებას საზღვარი არა ჰქონდა. ნუ თუ ოდესმე მეც მეღირსება განვლო ცხოვრების სანატრელი გზა!?

დავერცხლილი დიდი მდინარე!.. სიღრმე სიგანით უწვდენელი ზღვისა სივრცე. საოცნებო ფიქრებმა გამიტაცეს...

ბუნება კი კვლავ ღრმა ძილში იყო გართული. ცელქი, მოუსვენარი ნიავიც კი აღარსადა სჩანდა და საღლაც მიმალულიყო.

მხოლოდ მთის წყარო კვლავ მოჩქრიალებდა დაქანებულს მთაზე და, ცხოვრების გზაზე გამართული, დაუღალავად მიისწრაფოდა.

II.

თვალეები რომ გავახილვე-სისხამი დილა იყო და მაისის ვარდის ფოთოლზე, დილისა ცვარად, ობლად ვესკუბე.

ჩემს ქვეით წყალი მიშხუდა. შიგ გადახტომა დავაპირე, მაგრამ დილის სიცივეს მთლად გავეთანგე და ვეღარ ვმოქმედებდი. საზარელმა ფიქრმა გამიელვა თავში. ნუ თუ აქ უნდა გამითავდეს ცხოვრება და საოცნებო მომავალი ნამდვილ სიზმრად-ლა უნდა დამჩქს?! შიშის ზარმა ამიტანა. ბოლბულის სევდიანმა ხმამ გული ხომ მთლათ დამირღნა...


ღმერთმა უშველოს ისევ დილის სიოს. მან რომ დაჰბერა, შეარყიო მაისის ვარდი და წყალში ცქვიტად გადამისროლა. გახარებული ჩავხუტე წყლის წვეთებს. მინდოდა მათთვის გამეზიარა ჩემი თავ-გადასავალი, მაგრამ არაფერს ყური არ მათხოვა და დაღვრემილის სახით ყველა უსიტყვოდ გამშორდა...

წყალი ნელა მიდიოდა და მეც ვერა ვხტოდი უწინდებურად. თურმე ვაკეზე ვავსულიყავით. ცოტას რომ გავცდით, საზარელმა სურათმა მთლად გონება დამიბნინა. სულ მთლად ახლოს მღვრივე მდინარე გზას გვიღობავდა და შეუბრალებლად ჰყლაპავდა მთიდან მოვარდნილ ანკარა წყაროს წმიდა წვეთებს.

სულის მობრუნება ვერც კი მოვასწარ რომ ჩვენც უცბად გავჩნდით ხარბად დაღებულ, გაუმაძღარ მორვეის პირას.

ისევ გადახტომა ვარჩიე, მაგრამ.. ამაოდ! თავ-ზარდაცემული ზვეთები დამფრთხალ ფარასავით ვაწვევოდით და უნებლიეთ ჩვენისავე ხელით ერთმანეთს მორვეისაკენ ვკრებოდით. დაბნედილ მორვეის ტრიალმა წაგვიღო უძირო უფსკრულისაკენ. ტლანქად დავაწვა მდინარე, სული შეგვიხუთა და ნაძირალში მთლად რომ აქვთქვიფა, ჟინ მოკლულმა, წყლის ზედა პირზე მწარე ხარხარით ამოგვისროლა. ჰაერზე რომ სული მოვითქვი, მწარე ღიმილით მომავონდა სიზმრათ ნანახი დავერცხლილი დიდი მდინარე.

ტალღები კვლავ ხარხარებდნენ და განუწყვეტლივ, როგორც ბურთსა, თავის ნებაზე მათამაშებდნენ...



აქლად დასახლებული ადგილები კახეთში.

ამ რუკაზე აღნიშნულია ის ადგილები ტფილისიდან ლავიანამდე, სადაც რუსეთიდან გადმოსული გლეხები დასახლდნენ. ტფილისიდან გავლებულია ხაზი, მისდევს მთელ გარე-კახეთს და გადის ზაქათალაში. აქა-იქ წერტილებია. ეს წერტილები აქლად დასახლებული ადგილებია. ახალი სოფლები კახეთს ორის მხრიდან სალტასავით არტყიან. ესლა დასახლებლად ადგილებს ზაქათალის ოლქში და შიგნით კახეთში დაეძებენ.

III.

ღამე ჯერ დილით არ შეცვლილიყო, რომ დამდნარ წვეთების რაკარუკმა ღრმა ძილში წასული გამომაფხიზლა. თავი ძალიან მტეხდა და მოსვენებს ვერა ვგრძნობდი, თუმცა მაღალ მთის მწვერვალოზე განმარტოებით დიდხანს მეძინა.

ზამთარი უკვე იწურებოდა. ძალა მიხდილ მთვარეს სახეზე ფერი დაჰკარგოდა. გაფითრებული ღამის დარაჯი, ძლიერის ტანჯვის გამომეტყველობით, ბუნების გამგეს მოსვენების საათსა სთხოვდა.

ბარად გავხედე. ბუნდად რომ ვნახე ქვეყნისა სახე, მომაგონდა მწუხარებით სავსე ჩემი წარსული...

ცივმა ქარმა გამიარა ტანში და შემეყრყოლა.

მე ახლა ცხადად ვხედავდი გაშლილ არე-მარეს. ღამის წყვილიადში ვახვეულს ქვეყნად, მაცდურ გველივით დასრიალებდა სიჭუჭყით სავსე მღვრივე მდინარე. ნაპირებზე გადმოსულიყო და რაც მოესწრო, მთლად წალეკა.

შორს, დასავლეთის კიდეზე, ბოროტი სულით შეპყრობილი ზღვა განუწყვეტლივ შფოთავდა და ვერ ისვენებდა. ბნელსა ჯოჯოხეთს მიაგავდა განუსაზღვრელი მისი სივრცე.

მეზიზღებოდა ზღვა და მძულდა მდინარე... ნუ თუ ვერ მოედება ბოლო ამ ტანჯვა-წამებას და ბოროტი სული მტარვლობისა დაუთრგენველად უნდა მეფობდეს?!

მთლად სმენად ვიქეცე, მაგრამ გაფითრებული ბუნება

უსიტყვოდ სდუმდა. ცივსა სამარეს მიაგავდა გაყუჩებული მისი სახე.

მხოლოდ დამდნარი თოვლის წვეთები კვლავ ეცემოდნენ და გაჯავრებით რალსაც ბუტბუტებდნენ. მათ საიდუმლო ხმაზე თავისუფლების და ბრძოლის აზრმა იფეთქა ჩემს გონებაში და კვლავ ავღვრთოვანი. მსურდა ქვეა-ქუხილით დავტეხოდით განუსაზღვრელ ბარს, რომ ძირიანად ამოგვეგდო მღვრივე მდინარე და უსაზღვრო ზღვა. ქვეყანა დაქანებულ კლდედ გადაგვექცია, რომ თავისუფალ მთის წყაროს წვეთებს ბედნიერება არ მოჰკლებოდა...

დასავლეთისკენ ზღვა თითქოს დაფრთხა და ამობოქრდა. ბოროტმა ძალამ რომ გაიგო ჩვენი გულისთქმა, კვლავ ქარიშხალი წამოგვაწია...

უძლურმა მთარემ ველარ შესძლო და სასტიკ ბრძოლას თვალი ცის კიდეს ამოაფარა.

კოტად შებნელდა... დამფრთხალ ვეფხვივით შევიკრიბე რაც ძალა მქონდა და ყინულის შტოზე მივეყინე. ქარმა მრისხანედ დაჰბერა და მაღალ მთის მწვერვალს ბევრი ჩვენგანი გამოასალნა.

მე მაგრა ვიდექ...

მოულოდნელად გავცქეროდი აღმოსავლეთის სივრცეს და გულის ფანქალით მოვედი ამომავალ მზეს, ვით მხსნელთ იმედს...

უკანასკნელი ოცნებაც ვაჰქრა: მზეს თხელი ნისლი გადაეფარა და დამცინავის ღიმილით რომ შემომხედა, მწარედ ვიგრძენი ჩემ ოცნებათა უძლურებმა სასტიკ ბუნებას ძალის წინაშე.

ველარ გაუძელ უკანასკნელ დარდს. ტანში მოვიშალე და მწარე ცრემლად გავცქრიალდი გამოტილ ყინულის შტოზე. ქარმაც ხარხარით შემომიბერა. წამილო დაბლა და მშობელ კლდის ფეხრთ გამურალ მიწაზე მიმაგდო...

უკანასკნელს წამს თვალით წარმომიდგა გაზაფხულის სისხამი დილა... დაბადების დღე... ბედნიერ ბუნების ამნაცირად რომ მიმაჩნდა თავი?

მშობელს კლდეს კი სული ვერ ამოეთქვა. იგი კვლავ ქვითქვითებდა. გულის სიღრმიდან ამონახეთქსა საუკუნებით შეუმურალ თვალთაგან კვლავ აფრქვევდა შეუმცნელ ბუნების უმანკო ცრემლებს.

წყვით.



ტყუპი დები.

ტყუპი დები ითსეზა ჯა ჯრთზა

—§—

ქალაქ მიუნხენში (გერმანია) ყოველ წლივ ღვინობისთვის პირველ რიცხვებში იმართება დღესასწაულები, რომელსაც გერმანელები უწოდებენ „ოქტომბერ-ფესტ“, რაზედაც გერმანიის ყველა კუთხიდან დიდძალი ხალხი იკრიბება. იმართება სხვა და სხვა გასართობი. სხვათა შორის წელს საჩვენებლად მოიყვანეს ტყუპი და (ახ. სურათი) რომელნიც გადაბმულნი არიან გვერდებით. შესვლისას ჯერ არა მჯეროდა ამისი სიმართლე, მაგრამ როდესაც შუაში ერთმა ქალმა კაბა გაუხსნა, ვნახე, რომ მართლა გადაბმულები ყოფილან. შემდეგ, როდესაც თავიანთი სურათები დაგვირიგეს, მივედი და გამოვკითხე, თუ როგორი ცხოვრება აქვთ. როგორც გადმოპცეს, ორივეს სულ სხვა და სხვა აგებულება აქვს და სხვა და სხვა მოთხოვნილება. მაგალითად: ერთს შეუძლიან ეძინოს, მეორეს ეღვიძოს ან ერთს მოშივდეს და მეორეს-კი არა. მხოლოდ სისხლის და ძარღვების ცემა აქვთ ერთნაირი, ასე რომ თუ ერთი ცოტა ავად არის, მეორეც ცუდათა ჰგრძნობს თავს. ექიმების გამოკვლევით, ორივენი ერთათ უნდა დაიხოცნენ. უკრავენ მშვენიერად სხვა და სხვა საკრავზე. არიან 20—21 წლისანი.

—შვილი.

მოეხით სატრო- დამიბრუნებით!

—:—

შხამ-დალ დასმული,
მიბნედილ სახით,
ქანც-მიღეული,
თრთოლვით ცახცახით
გავსცქერი სივრცეს, დაფნილ მინდორს.
იქ კვლავ რაკრაკებს
ჩანჩქერი სალ მთის,
იქ ცვარი ყლორტებს
ჰკოცნის... ნაზად თრთის,
იქ სიო ყვავილს უვარცხნის ქოჩორს!

* *

მე კი ვიგონებ განვლილ წუთებს, ვიგონებ ბუჩქ-ბაღს,
დავდივარ ცალად;
სატროს დაკარგულს, გულის ყვავილს, ცხოვრების წილს,
დავეძებ კვალად!


* *

ვერა ვპოულობ,
სევდა მიწყლავს გულს;
შველს ვთხოვლობ—
მიშველეთ ბედკრულს!..

* *

მე თვით არ ვიცი, ვის მივბართო, ვის, ვის შევესტირო?!
ვის გადაუხსნა ნორჩი გული, ვის შეველაღლო?!
კით მოელვარევე, ტურფა მთვარევე, ნაზო ზეფირო,
ბუჩქო, მცენარევე, იაღონო, ცელქო ნაკაღო,—
აგრემც სულყველას დაგენაცვლეთ, სიცოცხლის მფენნო,
ჩვენის ტრფობის და ჩვენის ფიცის მყუდრო მოწმენნო:
გთხოვთ, გვედრებით ცრემლების ფრქვევით,
მომეციო სატრო—დამიბრუნევიო!

ი. გრიშაშვილი.



რა მოსდევს უმობისა და ახალწლის დღესასწაულებს.